

საქართველოს პარლამენტის  
თავმჯდომარეს ბატონ შალვა პაპუაშვილს

ასლი: საქართველოს პარლამენტის  
საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის  
თავმჯდომარეს ბატონ ნიკოლოზ  
სამხარაძეს (ცნობისათვის)

მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძის პ/ნ

მცხ.: [REDACTED]

ტელ.: [REDACTED]

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბატონო შალვა,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 105-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საკანონმდებლო წინადადებას „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ და „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონებით რეგულირებულ იმ საკითხ(ებ)თან დაკავშირებით, რომლებთან მიმართებითაც ვფიქრობ, რომ საჭიროებს შემდომ დახვეწას.

დანართი:

- ✓ საკანონმდებლო წინადადება - საქართველოს დიპლომატიურ სამსახურში შშმ პირთა უფლებების რეალიზაციის ხელშეწყობის შესახებ;
- ✓ Google Map-დან რამოდენიმე დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან მიმართებით ამოღებული ფოტოები;
- ✓ სსკ-ში შეტანილ ცვლილებასთან მიმართებით განმარტებითი ბარათი.

პატივისცემით,



**საკანონმდებლო წინადადება**

საქართველოს დიპლომატიურ სამსახურში შშმ პირთა უფლებების რეალიზაციის ხელშეწყობის შესახებ

- ❖ **ცვლილების სახეობა:** „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ და „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონებში ცვლილებების შეტანის შესახებ.
- ❖ **კანონ(ებ)ის პროექტ(ებ)ის მიღების დასაბუთება:** 2014 წელს საქართველომ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის (The United Nations Convention on the Rights of Persons with Disabilities) რატიფიკაცია განახორციელა, რითიც ქვეყანამ აღიარა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები<sup>1</sup> და აიღო რიგი ვალდებულებები ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. კერძოდ, კონვენცია წევრ სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას ხელი შეუწყონ და უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვა, როგორც საკანონმდებლო და ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვისა და გაძლიერების გზით, ისე შესაბამისი ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარებითა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დამრღვევი პრაქტიკის ცვლილებით. გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებებისა და პრინციპების ეროვნულ კანონმდებლობაში უკეთ ასახვის მიზნით, 2020 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“. კანონი მნიშვნელოვნად აუმჯობესებს შშმ პირთა უფლებრივ გარანტიებს ეროვნულ დონეზე და მიზნად ისახავს შშმ პირთა უფლებებისა და თავისუფლების დასაცავად საკანონმდებლო გარანტიების შექმნას. კანონი ასევე განსაზღვრავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სხვებთან თანაბარ პირობებში ცხოვრების ყველა სფეროში მათი სრულყოფილი მონაწილეობის ხელმისაწვდომობის ძირითად პრინციპებსა და მექანიზმებს, რათა მიღწეულ იქნეს ნებისმიერ სფეროში მომსახურების ხელმისაწვდომობა. ამავე კანონის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს:
  - არსებული და მშენებარე შენობა-ნაგებობებისა და სხვა სახის ინფრასტრუქტურის უნივერსალური დიზაინის დანერგვა ან/და უნივერსალური დიზაინის შესაბამისად ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, თავისი მმართველობის სფეროში მოქმედი ყველა დაწესებულების სრული მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად;

<sup>1</sup> Advisories for People with Disabilities <https://www.germany.info/us-en/embassy-consulates/embassy-washington/accessibility/955532>

- ხელი შეუწყოს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ერთიანი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულებას.

ზემოხსენებული კანონით განსაზღვრული ვალდებულებებიდან გამომდინარე, სხვადასხვა ადმინისტრაციულმა ორგანომ, მათ შორის საგარეო პოლიტიკურმა უწყებამ დაგეგმა სამოქმედო აქტივობები. სააგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ გვერდზე განთავსებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2021 წლის სამოქმედო გეგმის<sup>2</sup> მიხედვით:

- შშმ პირთათვის ფიზიკური გარემოს მისაწვდომობის საკითხი არ არის სიახლე საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის. საკითხზე მუშაობა დაწყებულია და არსებული ხარვეზების გამოსწორების მიზნით მიმდინარეობს ღონისძიებების განხორციელება. საკითხის სრულად მოგვარება იგეგმებოდა საგარეო საქმეთა სამინისტროს ახალი ადმინისტრაციულ შენობათა კომპლექსის მშენებლობის მდასრულების შემდეგ;
- ლეონიძის N3-5-ში მდებარე შენობების რეაბილიტაციის სამუშაოების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი სამუშაოები: 1. შშმ პირთა სარგებლობისთვის მოეწყო ოთხი სანიტარული კვანძი, პირველ სართულზე - ორი, ხოლო მეორე და მესამე სართულებზე თითო-თითო. 2. მესამე სართულზე მოეწყო შშმ პირთა სარგებლობისთვის პანდუსი. 3. პირველ სართულზე, მოქალაქეთა სარგებლობის კიბეებზე, დამონტაჟებულია შშმ პირთათვის კიბეებზე ტრანსპორტირების ლიფტი;
- რაც შეეხება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ამჟამინდელ შენობათა კომპლექსს (რომელიც მდებარეობს ჩიტაძის და ბერიძის ქუჩების კვეთაზე), აღსანიშნავია, რომ ძირითადი ადმინისტრაციული შენობა აგებულია XIX საუკუნის 70-იან წლებში, შესაბამისად, დღესდღეობით შენობათა კომპლექსის ადაპტირება შესაძლებელია მხოლოდ ნაწილობრივ. კერძოდ, ძირითადი ადმინისტრაციული კორპუსის ცენტრალური შემოსასვლელის მხრიდან (ჩიტაძის ქ.4) მოწყობილია პანდუსი, ხოლო შშმ პირთა სართულებზე ასვლა შესაძლებელია ლიფტით. ამ ეტაპზე, სამინისტროს ძირითად ადმინისტრაციულ შენობაში მოსაწყობია შესაბამისად აღჭურვილი ადაპტირებული სანიტარული კვანძი.

ზემოხსენებული სამოქმედო გეგმითაც ნათლად წარმოჩინდება ის გამოწვევა, რომელიც საზღვარგარეთ მყოფ შშმ პირებს შეიძლება გააჩნდეთ. დოკუმენტი არ ითვალისწინებს შშმ პირთათვის ფიზიკური გარემოს მისაწვდომობას საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობესა და საკონსულო დაწესებულებებში<sup>3</sup>, რაც შესაძლოა განპირობებული იყოს შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არქონით.

<sup>2</sup> იხ. ბმული: <https://mfa.gov.ge/gerattachment/HeaderNav/PublicInfo/GeneralInformation/2021-clissamoqmedo-gegma.pdf.aspx>

<sup>3</sup> „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობაა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფი საზღვარგარეთ, რომელიც საერთაშორისო

➤ იდენტიფიცირებული პრობლემა, რომლის გადაჭრაც საკანონმდებლო წინადადების მიზანია: დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში ვიზიტის მსურველ შშმ პირების და მომუშავე თანამშრომლების უფლებების რეალიზაციის სათანადო გარანტიების უქონლობა.

არსებული გამოწვევის შესაფასებლად მხედველობაში უნდა მივიღოთ ემიგრაციაში მყოფ საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა (არანაკლებ 1 მილიონი ადამიანი), რომლებიც ყოველდღიურად იღებენ რამდენიმე ასეულ მომსახურებას. ლოგიკურია, რომ მიგრაციის მასშტაბებიდან გამომდინარე მათ შორის იმყოფებოდნენ არც თუ მცირე რაოდენობით შშმ პირებიც. თუმცა, დიპლომატიურ სამსახურებში მომუშავე პირთათვის შესაძლოა ასევე იდგეს ხსენებული გამოწვევა. ამ ეტაპზე საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდზე იმეზნება საქართველოს მთავრობის 04/12/2020 732 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტი“, რომელიც ასევე ითვალისწინებს შშმ პირებისათვის განსაზღვრულ პირობებს<sup>4</sup>. ამ ვითარებაში საყურადღებოა დიპლომატიურ წარმომადგენლობების და საკონსულო დაწესებულებების ტერიტორიის/ შენობა ნაგებობის იურისდიქციის საკითხიც. სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ 20/07/2018 საქართველოს კანონზე (რეგისტრაციის 3158-რს) თანდართულ განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ „უცხო სახელმწიფოში საქართველოს საელჩოს ან საკონსულო დაწესებულების ტერიტორიას საკუთრივ საქართველოს ტერიტორიად პირდაპირ არ მიიჩნევა<sup>5</sup> საქართველოს არც ერთი

---

ორგანიზაციასთან და ადგილსამყოფელ სახელმწიფოსთან დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობისას წარმოადგენს საქართველოს (საქართველოს საელჩო, საერთაშორისო ორგანიზაციასთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა და საერთაშორისო ორგანიზაციასთან საქართველოს წარმომადგენლობა). ამავე კანონის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საქართველოს საკონსულო დაწესებულება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფი საზღვარგარეთ, რომელიც ადგილსამყოფელ სახელმწიფოსთან საკონსულო ურთიერთობისას და იმ სახელმწიფოსთან დიპლომატიური ურთიერთობისას, სადაც დიპლომატიური წარმომადგენლობა არ არის დაფუძნებული, წარმოადგენს საქართველოს.

<sup>4</sup> 04/12/2020 732 დადგენილების მიღებამდე მოქმედებდა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 06/01/2014 41 დადგენილება, რომელიც თვალსაჩინოთ წარმოაჩენდა საჭიროებებს და მოთხოვნებს.

<sup>5</sup> საკითხის განხილვის ფარგლებში ასევე მხედველობაშია მისაღები საქართველოს საპატიო საკონსულო დაწესებულებები (რა დროსაც, საპატიო კონსულები, როგორც წესი პირად საკუთრებაში არსებული საოფისე ფართს თმობენ საკონსულო ფუნქციების განხორციელების მიზნით. იშვიათ შემთხვევას წარმოადგენს დამატებითი ფართის ქირით აღება), რომელთაც საკმაოდ იშვიათად, თუმცა მაინც უწევთ საქართველოს ფიზიკურ პირთათვის მომსახურების და დახმარების გაწევა.

საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება“. საგულისხმოა „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის მე-1<sup>2</sup> პუნქტი<sup>6</sup>, რომელიც ეხება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს. საქართველოს სახალხო დამცველის ვებ გვერდზე<sup>7</sup> გამოქვეყნებულ 2013-2021 წლების საქმიანობის არც ერთ ანგარიშში არ იკვეთება საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში/ საკონსულო დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის შეფასების განხორციელების კუთხით ჩანაწერები/ დებულებები, რაც შესაძლოა საზღვარგარეთ არსებულ საგარეო საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფების<sup>8</sup> ტერიტორიაზე მონიტორინგის განხორციელების უფლებამოსილების არქონით შესაძლებელია ივარაუდებოდეს<sup>9</sup>. საყურადღებოა „დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ“ ვენის კონვენცია, რომელიც არის შესაბამისი სფეროს მარეგულირებელი საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი მთავარი დოკუმენტი, რომლის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტი გადმოგვცემს ტერიტორიულ საკითხთან დაკავშირებით დებულებებს: „ადგილსამყოფელი სახელმწიფო, თავისი კანონმდებლობის შესაბამისად, ხელს უწყობს წარმგზავნი სახელმწიფოს მიერ მის ტერიტორიაზე მისიისთვის აუცილებელი კარმიდამოს მოპოვებას ან სხვა საშუალებით ეხმარება ამ უკანასკნელს საცხოვრებლის მიღებაში“. მხედველობაში არის ასევე მისაღები კონვენციის 22-ე, 30-ე და 31-ე მუხლები, რომლებიც ეხება შენობა-ნაგებობის დაცვაზე პასუხისმგებლობას, მისიის კარმიდამოს ჩხრეკისგან, რეკვიზიციისაგან, მიმაგრებისა ან აღსრულებისაგან იმუნიტიტეტით

---

6 საქართველოს სახალხო დამცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების რეალიზების ხელშეწყობის მიზნით, ზედამხედველობს ადმინისტრაციული, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საჯარო დაწესებულებებისა და თანამდებობის პირების, აგრეთვე ფიზიკური და იურიდიული პირების საქმიანობას, უზრუნველყოფს მათ მიერ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე მონიტორინგს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეაგირებას.

7 იხ. ბმულები: <http://ombudsman.ge/geo/angarishebi> და <http://ombudsman.ge/geo/190308061623angarishebi>

<sup>8</sup> „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ი“, „კ“, „ლ“, და „მ“ პუნქტების შესაბამისად, დიპლომატიური სამსახურის ძირითად ამოცანათა და ფუნქციათა შორის გვხვდება - კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს მოქალაქეთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა; ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისათვის ხელის შეწყობა; საერთაშორისო და რეგიონული მშვიდობისა და უსაფრთხოების განმტკიცებისათვის ხელის შეწყობა; საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების განუხრელი დაცვისა და შემდგომი განვითარებისათვის ხელის შეწყობა.

<sup>9</sup> მოცემული საკითხის განხილვისას სავარაუდოდ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა მხოლოდ დიპლომატიური წარმომადგენლობების შენობა-ნაგებობები, არამედ მათთან მისასვლელი მიმდებარე ტერიტორიაც.

სარგებლობისა და ასევე ადგილსამყოფელი ქვეყნის იურისდიქციისგან დიპლომატიური აგენტის იმუნიტეტით სარგებლობის შესახებ. სასურველი იქნებოდა უფრო კონკრეტული რეგულაციები დიპლომატიური წარმომადგენლობის ტერიტორიის იურიდიულად აკრედიტირებული ქვეყნის საკუთრებაში არსებობის თაობაზე. გარდა საერთაშორისო სამართლებრივი აქტებისა, გასათვალისწინებელია მისაღები ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის რიგი გადაწყვეტილებებიც. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში აღნიშნულ გამოწვევაზე (დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში შშმ პირთა უფლებების ხელშემწყობი პირობების სავარაუდოდ არ ქონიდან გამომდინარე) საპასუხოდ, დიპლომატიურ წარმომადგენლობის ტერიტორიაზე შესაბამისი იურისდიქციის არსებობის პირობებშიც, საჭიროება დგება საკანონმდებლო დონეზე დამატებითი გარანტიების შექმნა, ვინაიდან ხსენებულ გამოწვევაზე რეაგირება საერთაშორისო შეთანხმებებით აღებული ვალდებულებების გათვალისწინებით საქართველოს ხელისუფლების გამოწვევა უნდა იყოს. შესაბამისად, საკანონმდებლო ცვლილებები ხელს შეუწყობს შესაბამისი სტანდარტების შესაბამისად სივრცეთა მოწყობის პროცესის დანერგვას ან/და ახალი (ალტერნატიული) შენობა-ნაგებობების მოძიებას (შემდგომში შენობა ნაგებობების შეცვლის ან ადაპტირებისათვის შესაბამისი სამუშაოების ჩასატარებლად). “შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ მე-4 მუხლის თანახმად, “მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას, უზრუნველყონ და ხელი შეუწყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა სრულ რეალიზებას, შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე აღმოცენებული ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. ამ მიზნით მონაწილე ქვეყნები მათ შორის ვალდებულებას იღებენ მიიღონ ყველა საჭირო საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სხვა ზომები წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული უფლებების უზრუნველყოფისათვის. წინამდებარე კონვენციის დებულებები ვრცელდება ნებისმიერი ფედერალური სახელმწიფოს ყველა შემადგენელ ერთეულში, ყოველგვარი შეზღუდვისა და გამონაკლისის გარეშე. ამავე კონვენციის მე-9 მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ასევე იღებენ ზომებს, რათა შეიმუშაონ, დანერგონ და მონიტორინგი გაუწიონ მოსახლეობისათვის ღია ობიექტებსა და მომსახურებებში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მისაწვდომობის მინიმალური სტანდარტებისა და სახელმძღვანელო ორიენტირების რეალიზებას<sup>10</sup>. შესაბამისად, დიპლომატიური

<sup>10</sup> საქართველოს მთავრობამ ადამიანის უფლებათა დაცვის რიგით მე-2 (2022-2030) ეროვნული სტრატეგია დაამტკიცა, რომელიც გადაგზავნილია საქართველოს პარლამენტში. <https://parliament.ge/legislation/24597> სტრატეგიას გააჩნია ოთხი ძირითადი მიმართულება. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები ისევე, როგორც მართლმსაჯულების საკითხები პირველი პრიორიტეტია. შემდეგი პრიორიტეტი არის სოციალური და ეკონომიკური უფლებები. მესამე პრიორიტეტი

სამსახურის ფუნქციათა და ამოცანათა შესრულების ორგანიზების მიზნით, „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის VI თავში (სოციალური დაცვა და გარანტიები) შესაბამისი მუხლის დამატება. მაგალითად შემდეგი ფორმით:

- მუხლი 47: „საქართველოს დიპლომატიური სამსახური უზრუნველყოფს საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში როტაციის წესით სამუშაოდ მივლინებულ პირთათვის საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტით შშმ პირთათვის განსაზღვრული პირობების შექმნას“.

ანალოგიური ჩანაწერი (მე-5 მუხლში პუნქტის დამატებით) შეიძლება განხორციელდეს „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში (ეხება საკონსულო ფუნქციების შესრულების ზოგად წესს), რაც ხელს შეუწყობს დამატებითი გარანტიებს შექმნას შშმ პირთათვის საკონსულო მომსახურების და საკონსულო დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად:

- მუხლი 5. პუნქტი 13: „საქართველოს საკონსულო დაწესებულებები და საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში შექმნილი საკონსულო სამსახურები, საკონსულო მომსახურების და დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, ქმნიან საქართველოს კანონმდებლობით შშმ პირთათვის განსაზღვრულ პირობებს.“

❖ კანონპროექტ(ებ)ის მიზანი: კანონპროექტების მიზანია საზღვარგარეთ მყოფ შშმ პირთათვის საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების შექმნა.

❖ კანონის პროექტ(ებ)ის ძირითადი არსი: კანონპროექტების თანახმად, „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონს დაემატება 47 მუხლი, ხოლო „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლს დაემატება მე-13 პუნქტი, რომლებიც მიზნად ისახავს დიპლომატიური სამსახურის და საკონსულო საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტებით შშმ პირთათვის (როგორც თანამშრომლებისა და პარტნიორი ორგანიზაციის

---

თანასწორობის პოლიტიკის მიმართულებას ფარავს და მეოთხე პრიორიტეტი არის ოკუპაციის შედეგად დაზარალებული ჩვენი მოქალაქეების უფლებების დაცვა“. ამასთან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების ნაწილში ამოცანათა შორის ასევე მოცემულია შემდეგი:

- შშმ პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა და მისაწვდომობის გარანტიების გაძლიერება;
- შშმ პირთა უფლებების დაცვისა და მონიტორინგის ეროვნული მექანიზმების გაძლიერება;
- შშმ პირთა დასაქმება და განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.


წარმომადგენლებისათვის, ასევე, საკონსულო მომსახურების მიღების მიზნით საკონსულო სამსახურში ვიზიტით მყოფ პირთათვის) უფლებების რეალიზაციის ხელშეწყობი დამატებითი გარანტიების შექმნას.

❖ საკანონმდებლო წინადადების ავტორი:

საქართველოს მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძე, პირადი ნომერი [REDACTED]

მცხ.: [REDACTED] საფოსტო ინდექსი [REDACTED]

ელ. ფოსტა: [REDACTED] მობ.: [REDACTED]




10/10/2022

აშშ-ში საქართველოს საელჩო/საკონსულო სამსახური 1824 R Street NW, Washington, DC 20009



<sup>1</sup> საელჩოს ვებ გვერდი: <https://georgiaembassyusa.org/contact/>

იტალიაში საქართველოს საელჩოს საკონსულო სამსახური<sup>2</sup> Via del Plebiscito, 102 00186 Roma, Italia




<sup>2</sup> საელჩოს ვებ გვერდი: [https://italy.mfa.gov.ge/default.aspx?sec\\_id=543&lang=1](https://italy.mfa.gov.ge/default.aspx?sec_id=543&lang=1)

ნიდერლანდებში საქართველოს საელჩო<sup>3</sup> Lange Vijverberg 12, 2513 AC, The Hague



<sup>3</sup> საელჩოს ვებ გვერდი: [https://netherlands.mfa.gov.ge/default.aspx?sec\\_id=1601&lang=1](https://netherlands.mfa.gov.ge/default.aspx?sec_id=1601&lang=1)

ლიტვაში საქართველოს საელჩო/ საკონსულო სამსახური<sup>4</sup>, Algirdo str. LT-03161 Vilnius 2020, Lithuania



<sup>4</sup> საელჩოს ვებ გვერდი: [https://lithuania.mfa.gov.ge/default.aspx?sec\\_id=677&lang=2](https://lithuania.mfa.gov.ge/default.aspx?sec_id=677&lang=2)

პორტუგალიაში საქართველოს საელჩო/ საკონსულო სამსახური<sup>5</sup>



<sup>5</sup> საელჩოს ვებ გვერდი: [https://portugal.mfa.gov.ge/default.aspx?sec\\_id=833&lang=2](https://portugal.mfa.gov.ge/default.aspx?sec_id=833&lang=2)

**განმარტებითი ბარათი**  
**საქართველოს კანონის პროექტზე**  
**„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ“**

**ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:**

**ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:**

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-5 მუხლით (სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საზღვარგარეთ ჩადენილი დანაშაულისათვის) განსაზღვრულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საზღვარგარეთ ჩადენილი დანაშაულისათვის. აღნიშნული მუხლის ჩამონათვალში არ ფიგურირებს და რეგულაციის მიღმა დარჩენილია ის შემთხვევა, როდესაც დანაშაული ჩადენილია საზღვარგარეთ საქართველოს საელჩოს ან საკონსულო დაწესებულების ტერიტორიაზე.

უცხო სახელმწიფოში საქართველოს საელჩოს ან საკონსულო დაწესებულების ტერიტორიას საკუთრივ საქართველოს ტერიტორიად პირდაპირ არ მიიჩნევს საქართველოს არც ერთი საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება. ამასთან, „დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ“ ვენის კონვენციის 22-ე მუხლის თანახმად, დიპლომატიური წარმომადგენლობის შენობა ხელშეუხებელია. შესაბამისად, თუ დანაშაული ჩადენილია საზღვარგარეთ საქართველოს საელჩოს ან საკონსულო დაწესებულების ტერიტორიაზე და არ არსებობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-5 მუხლით (სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საზღვარგარეთ ჩადენილი დანაშაულისათვის) პირდაპირ განსაზღვრული პირობები, სავსებით რეალურია სამართლებრივი ვაკუუმის შექმნის საფრთხე.

აქედან გამომდინარე, თუ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, საქართველოს კონტინენტურ შელფზე და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო აღმით ან ამოსაცნობი ნიშნით მოსარგებლე ხომალდზე ჩადენილი დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა პირდაპირ არის გათვალისწინებული, ლოგიკურია, რომ ანალოგიური ტექსტი იყოს საქართველოს საელჩოსა და საკონსულო დაწესებულების ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულის მიმართაც და ეს პირდაპირ აისახოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-5 მუხლში.

**ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:**

კანონპროექტის მიზანია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არსებული ხარვეზის აღმოფხვრა იმ ნაწილში, რომელიც უკავშირდება საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების ტერიტორიაზე ჩადენილ დანაშაულზე იურისდიქციის განსაზღვრას.

**ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:**

სისხლის სამართლის კოდექსის მე-5 მუხლს ემატება ახალი მე-6 ნაწილი, რომლის თანახმად, იმას, ვინც დანაშაული ჩაიდინა საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის

ან საკონსულო დაწესებულების ტერიტორიაზე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

„დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფი საზღვარგარეთ, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციასთან და ადგილსამყოფელ სახელმწიფოსთან დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობისას წარმოადგენს საქართველოს (საქართველოს საელჩო, საერთაშორისო ორგანიზაციასთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა და საერთაშორისო ორგანიზაციასთან საქართველოს წარმომადგენლობა). ამავე კანონის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საქართველოს საკონსულო დაწესებულება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფი საზღვარგარეთ, რომელიც ადგილსამყოფელ სახელმწიფოსთან საკონსულო ურთიერთობისას და იმ სახელმწიფოსთან დიპლომატიური ურთიერთობისას, სადაც დიპლომატიური წარმომადგენლობა არ არის დაფუძნებული, წარმოადგენს საქართველოს.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

კანონპროექტის მიღება არ იწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:**

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დადგენას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

და) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს მთავარმა პროკურატურამ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.



## ს მ რ ნ ა წ ე რ ი

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 აპრილის სხდომის

№12 ოქმიდან

III. საქართველოს კანონის პროექტები: „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი „ა. ბარამიძის და მ. სარჯველაძის საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში წარდგენილ კანონპროექტებზე მომხსენებლებად დანიშვნის შესახებ“ (მომხსენებელი საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე ა.ბარამიძე)

1. მოწონებულ იქნეს აღნიშნული კანონპროექტები და წარედგინოს საქართველოს პარლამენტს განსახილველად.

2. მიღებულ იქნეს წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი.


საქართველოს პრემიერ-მინისტრი

საქართველოს მთავრობის  
ადმინისტრაციის უფროსი



გ. კვირიკაშვილი

შ. თადუმაძე



## საქართველოს პარლამენტის ბიუროს გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა


№153/5

2018 წელი, 25 აპრილი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 146-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის და 147-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის ბიუროს ადგენს:

დაევალოს საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა (წამყვანი კომიტეტი), ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტებს განიხილონ საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (N07-2/203; 19.04.2018) საქართველოს კანონის პროექტები და წამყვანმა კომიტეტმა გადაწყვეტილების თაობაზე აცნობოს საქართველოს პარლამენტის ბიუროს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე,  
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე

  
ირაკლი კობახიძე

ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიამ საქმეში *X. v. Federal Republic of Germany* – მიუთითა, რომ მაროკოში გერმანიის საელჩოს მუშაკთა მოქმედება პირდაპირ იწვევდა გერმანიის პასუხისმგებლობას. ასეთივე გადაწყვეტილება გამოტანილი საქმეზე – *Cyprus v. Turkey*, სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მის მიერ უფლებამოსილი პირების, მათ შორის, დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლების, ისევე როგორც შეიარაღებული ძალების წარმომადგენლების მიერ განხორციელებული ქმედებების გამო. ეს წარმომადგენლები საზღვარგარეთ ყოფნისას იმყოფებიან სახელმწიფოს იურისდიქციაში. ასევე, ავრცელებენ სახელმწიფო იურისდიქციას პირებსა და საკუთრებაზე იმ მოცულობით, რა მოცულობითაც ახორციელებენ ისინი ამ პირებისა და საკუთრების კონტროლს.

საქმეში *V. v. Denmark* – ევროპის ადამიანის უფლებათა კომისიამ დაადგინა, რომ ინდივიდუალური პირის გაძევება საელჩოდან არ წარმოადგენდა მე-4 ოქმის მე-3 მუხლის დარღვევას, რადგან საელჩო არ ჩაითვალა „ტერიტორიად“ აღნიშნული მუხლის მნიშვნელობით. თუმცა, დაადგინეს, რომ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლის მიერ ვიზის გაცემაზე უარის თქმა შედის შესაბამისი სახელმწიფოს იურისდიქციაში.

საქმე- ში – *Bankovic and others* ნატოს წევრ-ქვეყნების წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა სასამართლოს დიდმა პალატამ იმსჯელა იმასთან დაკავშირებით, შედიოდა თუ არა მოპასუხე მთავრობების იურისდიქციაში ნატოს წევრქვეყნების (რომლებიც ამავე დროს ევროპის საბჭოს და ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის ხელშემკვერელი მხარეები არიან) განმცხადებელთა მიერ წამოყენებული პრეტენზიები. ისინი ასაჩივრებდნენ იუგოსლავიის კონფლიქტის დროს ნატოს საჰაერო ძალების მიერ ბელგრადზე განხორციელებული საჰაერო თავდასხმის შედეგად თავიანთი ოჯახის წევრების დაღუპვის ფაქტს. ევროპის სასამართლომ, რომელმაც იმსჯელა ამ საკითხზე, აღნიშნა, რომ ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის 1-ლი მუხლით განსაზღვრული ტერმინი „იურისდიქციის ფარგლები“, პირველ რიგში, (გულისხმობს რა სახელმწიფოს ტერიტორიას) არ ვრცელდება წევრ-სახელმწიფოს ან მისი წარმომადგენლების მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე განხორციელებულ ყოველ მოქმედებაზე. სასამართლო მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში აკისრებს შესაბამის სახელმწიფოს პასუხისმგებლობას იმ მოქმედებების გამო, რომლებიც ჩაიდინეს მისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მისივე წარმომადგენლებმა.

„Bankovic-ის საქმისაგან განსხვავებით, სხვა გადაწყვეტილება გამოიტანა ევროპის სასამართლომ ცნობილ საქმეზე – *Ocalan v. Turkey*. აღნიშნულ საქმეში განმცხადებელი, რომელიც ძალაუფლებითაა შევიდა კენიის სახელმწიფოს ტერიტორიაზე და იმყოფებოდა საბერძნეთის საელჩოს ტერიტორიაზე, მოტყუებით გადაიყვანეს ნაირობის აეროპორტში და გადასცეს თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს. იგი თურქეთის უშიშროების ძალების წარმომადგენლებმა ნაირობის აეროპორტის საერთაშორისო ზონაში მყოფი თვითმფრინავის ბორტზე დააპატიმრეს. ევროპის სასამართლომ დაადგინა, რომ მას შემდეგ, რაც კენიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა განმცხადებელი თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს გადასცეს, მას ეფექტიანად აკონტროლებდნენ თურქეთის უშიშროების ძალების წარმომადგენლები და, შესაბამისად, იგი, კონვენციის 1-ლი მუხლის თანახმად, ამ ქვეყნის „იურისდიქციაში“ მოექცა მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი ძალაუფლებას თავისი ტერიტორიული ფარგლების გარეთ ახორციელებდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ ოჯალანის საქმეში არსებული გარემოებები უმთავრესად განსხვავდებოდა Bankovic-ის საქმისაგან იმით, რომ განმცხადებელი, რომელიც თვით თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა აიძულეს, დაბრუნებულიყო თურქეთში, სრულად ექვემდებარებოდა აღნიშნული წარმომადგენლების კონტროლსა და ძალაუფლებას.